<u>იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანის უფლებათა სამართალში</u>

<u>II გამოცემა</u>

ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო (ELSA Georgia) წარმოგიდგენთ პროექტს სახელწოდებით: იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანის უფლებათა სამართალში.

◈ იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანის უფლებათა სამართალში წარმოადგენს პროექტს, რომლის ფარგლებშიც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისაგან დაკომპლექტებული გუნდები ეჯიბრებიან ერთმანეთს სასამართლო პროცესზე მხარეთა პოზიციების წარდგენის სიმულაციურ პროცესში.

◈ პროექტის მიზანია ახალგაზრდა იურისტებსა ან/და სტუდენტებში თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობა ადამიანის უფლებების დაცვის სამართლის მიმართულებით.

◈ პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს კერძო და საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ფაკულტეტის მოქმედ სტუდენტებს. ერთი უნივერსიტეტიდან რეგისტრაცია შეუძლია გაიაროს ერთზე მეტმა გუნდმა. ერთ გუნდში სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები დაიშვებიან მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ELSA საქართველოს სახელზე წარდგენილი შეტყობინების საფუძველზე.

◈ პროექტი ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

◈ პროექტი „იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანის უფლებების შესახებ“ ჩატარდება რამდენიმე ეტაპად:

- რეგისტრაცია;

- ტრენინგი პრაქტიკული უნარების შესახებ და თეორიული კურსი ადამიანის უფლებების შესახებ;

- წერილობითი რაუნდი (20 თებერვალი - 2 აპრილი, 2023);

- ზეპირი ეროვნული რაუნდი (19-21 მაისი, 2023)

◈ იმიტირებული სასამართლო პროცესის საქმე გამოქვეყნდება 20 თებერვალს.

◈ იმიტირებული სასამართლო პროცესის წესები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: http://elsageorgia.ge/media/1003520/2022/01/06/7f376d974e9c91ef232ebe327e97ef11.pdf

◈ პროექტში მონაწილეობით დაინტერესებულ გუნდებს აპლიკაციების გამოგზავნა შეუძლიათ 10 თებერვლის ჩათვლით (23:59 საათი) მითითებული ლინკზე:

https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSd1PIdrtFXhABedmDp5oFR8lW3Qory82o_MJl7ClTzT0FlbRA/viewform

◈ პროექტში მონაწილე გუნდები პროექტის თეორიულ ეტაპზე გაივლიან სიღრმისეულ ტრენინგებს იმიტირებული სასამართლო პროცესის მიზნებისათვის მხარეთა პოზიციების წერილობითი და ზეპირი წარდგენის შესახებ. ამასთანავე, გუნდის წევრებს ექნებათ შესაძლებლობა დაესწრონ თეორიულ კურსებს ადამიანის უფლებების შესახებ.

◈ პროექტის პრაქტიკულ ნაწილში მონაწილე გუნდებს წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე შეაფასებენ კვალიფიციური იურისტები.

◈ პროექტის ყველა მონაწილე, რომელიც იასპარეზებს წერილობით და შემდეგ ეტაპებზე, მიიღებს მონაწილეობის დამადასტურებელ სერტიფიკატს;

◈ პროექტში მონაწილე გუნდები უნდა შედგებოდნენ მინიმუმ 2 და მაქსიმუმ 3 წევრისაგან.

◈ პროექტში მონაწილეობა უფასოა;

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

mcc@ge.elsa.org

(+995) 595 227 761

ქეთევან მახარაშვილი

პრეზიდენტი

გისურვებთ წარმატებას ელსასთან ერთად!